



კულტურის მინისტრმა ჩოხატაურის ყოფილი კინოს სახლის სამომავლო პერსპექტივები განიხილა



საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრმა **თეა წულუკიანმა** გურიაში სახელმწიფო რწმუნებულთან **გიორგი ურუშაძესთან** და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერთან **დავით შარაშიძესთან** ერთად, ჩოხატაურში ყოფილი კინოს სახლი მოინახულა.

შენობას მინიჭებული აქვს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი და მისი შიდა სივრცე საჭიროებს რეკონსტრუქციას. მინისტრმა სახელმწიფო რწმუნებულთან და მუნიციპალიტეტის მერთან ერთად ისაუბრა ყოფილი კინოს სახლის სამომავლო პერსპექტივებზე.

კულტური

გურია

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.
 ყოველკვირეული გამოშვება. № 28 (10439) 31 ოქტომბერი 2022 წ. შპსი 80 თეთრი.

ამაღლარი კვლავობების ბაცილები საღამო №1 საჯარო სკოლაში



ალიონი. 25 ოქტომბერს, ქ. ოზურგეთში, დიდი ტრადიციების მქონე №1 საჯარო სკოლაში გაცილების საღამო მოუწვევს იმ პედაგოგებს, რომლებიც ათეული წლების მანძილზე ასრულებდნენ მასწავლებლის რთულ და საპატიო საქმეს.

– „ მე ერთი რიგითი პედაგოგი ვარ, რომელმაც 3 წლის წინათ დავტოვე პედაგოგიური სარბიელი. ვერ ავიწყრთ იმ ემოციებს, რასაც დღემდე განვიცდი პროფესიულ საქმიანობასთან განშორების გამო, რომელსაც 45 წელი ვემსახურე! როგორ? მირჩენია ამას პასუხი ვასცეს ჩემმა აღზრდილებმა, მშობლებმა, კოლეგებმა... მახარებს ის სიყვარული, მოწიწება და სამადლობელი, რასაც ვლტვობ განვილი გზის საფუძველზე.

45 წელი ამაყად მიუყვებო-

ნატანებლისთვის აშუაგად პრიორიტეტი 24-საათიანი სასემლი ფულით უზრუნველყოფის პროექტის უზრუნველყოფა

ალიონი. – ამომრჩეველებს საკრებულოს რეგლამენტით განსაზღვრული მოთხოვნებით გაწეული მუშაობის ანგარიშის მოსმენის ნაცვლად ინფრასტრუქტურულ პროექტებზე და სოციალურ პროგრამებზე საუბარი ურჩევნიათ – განაცხადა სოფელ ნატანების ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარმა დეპუტატმა **თამაზ ტულუშმა** სოფელ ნატანებში მისი საქმიანობის ანგარიშის მოსმენისას.

დეპუტატმა ამომრჩეველებს კარგად გააცნო, როგორც მაჟორიტარი დეპუტატი თუ როგორ ახორციელებდა თავის უფლებამოსილებას ოზურგეთის საკრებულოში. იგი საკრებულოს სივრცით ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის და აგარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების მართვის კომისიების წევრია. მან ამ კომისიებში ყოფნა იმით ახსნა, რომ იგი მეტად მიიღებს მონაწილეობას სოფლისათვის საჭირო საკითხების განხილვებში.

მისი თქმით იგი ბოლო ერთი წლის განმავლობაში ობიექტური მიზეზების გამო, მხოლოდ საკრებულოს ერთ სხდომას არ დაესწრო. ასევე დაესწრო კომისიებში გამართულ სხდომების აბსოლუტურ უმრავლესობას.

განსახორციელებელი პროექტებიდან თამაზ ტულუშმა ნატანები-შრომის გზის დამუშავებული მონაკვეთები დაასახელა, სადაც შესაბამისი სამუშაოები უნდა ჩატარდეს და ასევე – ზემო ნატანებში საჯარო სკოლის, საბავშვო ბაღის და ამბულატორიის შენობების მემკვიდრეობის მონაწილეობის შესახებ. საჯარო სკოლა მე-2 ცვლაში ნატანების №2 საჯარო სკოლაშია დროებით გადმოყვანილი და ახლა გეოლოგების საბოლოო დასკვნას ელოდება.

თამაზ ტულუში, მთავარ მიღწევად სოფელში სასემლი წყლის პრობლემის ეტაპობრივ მოგვარებას მიიჩნევს.

– ელექტროენერჯის გამრეცხველიანება კარგა ხანია დასრულდა, სოფელში ბუნებრივი აირი შემოყვანილია, ახლა დაწყებული წყლის პროექტი ბოლომდე უნდა მიიყვანოს. წინა საანგარიშო პერიოდში დაწყებული საქმე გრძელდება. ნატანები უწყლოდ არ უნდა იყოს. ამაყად სამუშაოები სოფლის მე-12 ბრიგადაში მიმდინარეობს – თქვა ტულუშმა.

დეპუტატმა ისაუბრა სპორტდარბაზისა და ადმინისტრაციული შენობის სარემონტო სამუშაოების, საბავშვო ბაღის სახურავის შეცვლის აუცილებლობაზე, ნატანები-თული სხდომების აბსოლუტურ უმრავლესობით დაამტკიცა პროექტი.

დეპუტატმა ისაუბრა სპორტდარბაზისა და ადმინისტრაციული შენობის სარემონტო სამუშაოების, საბავშვო ბაღის სახურავის შეცვლის აუცილებლობაზე, ნატანები-თული სხდომების აბსოლუტურ უმრავლესობით დაამტკიცა პროექტი.



ბაღის სახურავის შეცვლის საჭიროების შესახებ ბაღის მენეჯერმა **თეა სამხარაძემაც** თქვა.

– სოფელ ნატანებში 400-კილომეტრამდე სიდა გზაა, რომლისგანაც ნახევრი ვარკვეულ სამუშაოებს საჭიროებს. ძალიან დიდი სოფელია, ბუნებრივია პრობლემებიც მეტი, ვიდრე სხვაგან – აღნიშნა დეპუტატმა.

– ჩვენს უბანში (საკუბრე) არაა განათება, მოსაცდელიც გვეჭირდება – აღნიშნა ამ უბნელმა **გოგონა ნაკაიძემ**.

ხოლო ლეკურას უბნელმა **ნანა ლეღვევაძე** სასაფლოების შემოღობვის აუცილებლობაზე და ასევე საუბრო გზის პრობლემებზე ისაუბრა.

დეპუტატის აზრით, სოფელში რამდენიმე სასაფლაოა და მათ ხელახლა შემოღობვას ბევრი რესურსი სჭირდება, თუმცა იგი თანდათან უნდა განხორციელდეს.

დეპუტატმა ისაუბრა თუ როგორ მუშაობდა იგი საკრებულოს სამართლებრივი აქტების მიღება-დამტკიცებაში და რამდენიმე მნიშვნელოვანი აქტი დაასახელა, როგორც მონაწილეობის ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ მუშაობაში. როგორც ჩართული მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფორმირების პროცესებში და ა.შ.

დეპუტატის ანგარიშს საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე **გელა არაშიძე** დაესწრო თავისი შეფასება გააცნო ნატანებელ ამომრჩეველებს...

გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

- მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;
 - მე-3-7 (თითოეული 810 კვ.სმ) მთლიანი გვერდებისა - 150-150 ლარი;
 - 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;
 - ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;
 - შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.
 - პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;
 - მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 25 ლარი;
 - სამელოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;
 - გახსენება, ნეკროლოგი - სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;
- საჯალო ფასი: 60 თეთრი, ხელმოწერა: ერთი თვით - 2,40 ლარი, სამი თვით - 7,20 ლარი, 6 თვით -14,40 ლარი, ერთი წლით - 29,60 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს. ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე. რედაქციაში აუდიონანსწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება. რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას. გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

სარეკლამო კომპანია
რედაქტორი
ნუგზარ ასათიანი
nugzarasatiani15@gmail.com
558 499100
კომპიუტერული უზრუნველყოფა
გიორგი გოგოლაძე
gia_77@mail.ru
551 576060

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3
ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311
გაზეთი იბეჭდება გამოცემლობა „მერიდიანში“
მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

დაინყეთ ყოველი ოქმბათი აციონზე
«ალიონი»

თეა წულუკიანი ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სამუსიკო სკოლას ესტუმრა

საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი თეა წულუკიანი გურიაში სახელმწიფოს რწმუნებულთან გიორგი ურუშაძესთან და ჩოხატაურის მერთან დავით შარაშიძესთან ერთად, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სამუსიკო სკოლას ესტუმრა და სასწავლებლის საქმიანობას გააცნო. შეხვედრაზე ყურადღება გამა-

ხვილდა სახელოვნებო განათლების გამოწვევებზე. მინისტრმა აღნიშნა, რომ სამინისტრო აქტიურად უჭერს მხარს კულტურულ პროგრამებს, რომლებიც სამუსიკო სასწავლებლების განვითარებისთვის არის საჭირო. შეხვედრის ბოლოს თეა წულუკიანი სამუსიკო სკოლის მოსწავლეთა კონცერტს დაესწრო



მინისტრი ჩოხატაურის სპორტსკოლაში არსებულ საჭიროებებს გაეცნო



საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრმა თეა წულუკიანმა გურიაში სახელმწიფო რწმუნებულთან გიორგი ურუშაძესთან და ჩოხატაურის მერთან დავით შარაშიძესთან ერთად, ჩოხატაურში ა(ა)იპ სპორტისა და სპორტულ ღონისძიებათა ორგანიზების ცენტრი დათვალიერა. მინისტრი სპორტსკოლაში არსებულ საჭიროებებს გაეცნო. ა(ა)იპ

სპორტისა და სპორტულ ღონისძიებათა ორგანიზების ცენტრს განვითარების განსაკუთრებული შესაძლებლობები აქვს, რადგან სპორტის სხვადასხვა სახეობისათვის მულტიფუნქციური სივრცეების მოწყობის საშუალებას იძლევა. ჩოხატაურის სპორტსკოლაში 9 სპორტული წრეა და 300-მდე ახალგაზრდა სპორტის სხვადასხვა სახეობას სწავლობს.

პროექტის ფარგლებში 2 დღიანი ტრენინგი ჩატარდა

პროექტი „დემოკრატიული ჩართულობის ცენტრების ქსელი“ ორგანიზაციასთან ინიციატივა სოციალური ცვლილებებისთვის /Initiative for Social Changes თანამშრომლობით ხორციელდება. პროექტი ნაწილია პროგრამის „ევროკავშირი გენდერული თანასწორობისთვის: ერთად გენდერული სტერეოტიპებისა და გენდერული ძალადობის დასაძლევად“ ფარგლებში, რომელიც ერთობლივად ხორციელდება გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN Women) და გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) მიერ, ევროკავშირის მხარდაჭერით. ტრენინგს ლანჩხუთის მუნიცი-



ამაღარი პედაგოგების ბაცილების საღამო №1 საჯარო სკოლაში



ელვანი პედაგოგები: ნათელა სურგულაძე, მანოლა ვაშალიძე, ნინო მენაბდე, რუსუდან სარიშვილი, ზისანა კეჭავაძე, მანანა კვაჭაძე, თამარ ოსიპოვა, ირინა ცეცხლაძე, ნანა კალანდაძე, რომლებიც 40-45 წლის განმავლობაში მოღვაწეობდნენ ამ სკოლის კედლებში. ამადარ პედაგოგებს მიესალმნენ: სკოლის დირექტორი მაია თავართქილაძე, სკოლის კურსდამთავრებულები: ოზურგეთის მერი ავთანდილ თალაკვაძე, გურიის გუბერნატორის მოადგილე ქეთი მისწრაფეშვილი; განათლების მუშაკთა პროფკავშირის ოზურგეთის ორგანიზაციის თავმჯდომარე როზა გოგუაძე, რომელმაც საქართველოს განათლების პროფკავშირების საპატიო სივრცეები და ფასიანი საჩუქრები

გადასცა პედაგოგებს. ჯანმთელობის მდგომარეობის გამო გაცილების საღამოს ვერ დაესწრო მრავალი თაობის აღმზრდელი პედაგოგი ჯემალ ჭველიძე. საღამოზე შესანიშნავი პიროვნება, ფიზკულტურისა და სპორტის პედაგოგი ომარ თავბერიძე გაიხსენეს. - „ჩვენს ძვირფას და საამაყო მასწავლებლებს უდიდესი წვლილი მიუძღვით ჩვენი ქვეყნის წარმატებაში. ისინი მრავალი წლის განმავლობაში ემსახურნენ განათლების სფეროს და არაერთი თაობა აღზარდეს. მადლობას ვიხდით ოზურგეთის სახელით! ჯანმრთელობას და კეთილდღეობას ვისურვებთ!“ - აღნიშნა მუნიციპალიტეტის მერმა ავთანდილ თალაკვაძემ.

„ანზორ ერქომაიშვილის სახელობის საქველმოქმედო ფონდი“ დაფუძნდა



2022 წლის 25 ოქტომბერს „ანზორ ერქომაიშვილის სახელობის საქველმოქმედო ფონდი“ დაფუძნდა. ფონდის ძირითადი მისია იქნება სხვადასხვა სასტიპენდიო პროგრამებით ქართული სიმღერისა და გალობის სფეროში საქართველოს რეგიონებში მცხოვრები ბავშვების ზელმეწეობა, რომლებიც გამორჩეულები იქნებიან თავიანთი ინტერესებითა და უნარებით. ფონდის დამფუძნებლები: ანზორ ერქომაიშვილის მეუღლე ლალი სეთურიძე, ბიზნესმენები, „სმარტ კაპიტალ ჯგუფისა“ და ფონდ „ქართული გალობის“ დამფუძნებელი, ივანე ჩხარტიშვილი და „ასკანელი ჯგუფის“ დამფუძნებელი, გონა ჩხაიძე. ფონდს ჟურნალისტი, ანსამბლ „მართვეს“ აღზრდილი ლევან ჯავ-

აზიშვილი უხელმძღვანელებს. ფონდის მმართველი ბორდის წევრები: ვახტანგ კახიძე, დავით მათიკაშვილი, გიორგი დონაძე, ჯანგულაშვილი, მიხეილ ჯავახიშვილი, გიორგი ნატროშვილი, დავით ზაუტაშვილი. დაზრდილი ღონისძიება გაიმართა ანზორ ერქომაიშვილის საცხოვრებელ სახლში, რომელიც მზადდება სამუშეუშოდ. ღონისძიებას ესწრებოდნენ ფონდის მმართველი ბორდის წევრები, ფონდ „ქართული გალობის“ დამფუძნებელი ნანა გოთუა, პარლამენტარები რიმა ბერაძე, ქეთევან დუმბაძე და ანზორ ერქომაიშვილის ოჯახის წევრები. ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს ანსამბლებმა „რუსთავი“ და „მართვეს“.

ბოლნისი მახარაძის ბინების რეკონსტრუქციის დღე ოზურგეთში



ალიონი. 27 ოქტომბერს, ოზურგეთის სპორტის სასახლეში, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სპორტულ-გამაჯანსაღებელ დაწესებულებათა გაერთიანების სპორტული სექციის მთავარმა სპეციალისტმა **ბოლნისი მახარაძე** გინესის 4 რეკორდი დაამყარა.

გოდერძი პირველი რეკორდი 10 წუთის განმავლობაში თავით ფეხბურთის ბურთის 1700-მეტრ აკენწვლა უნდა ყოფილიყო. რეკორდების დიდოსტატმა 10 წუთში ბურთი 2022-ჯერ აკენწვლა.

პირველი რეკორდის შემდეგ გოდერძი ინდოელი კრიშნან კუმარაველუს 2 რეკორდი ზედიზედ დაამყარა.

თავით ფეხბურთის ბურთის კენწვლით 400 მეტრი 1,40 წუთში გაიბრძნა (კუმარაველუს რეკორდი 1,47); ხოლო შემდეგ თავით ფეხბურთის ბურთით კენწვლით 100 მეტრი გარბნის დრომ 19,66 წამი აჩვენა (რეკორდი 26,4 წამი).

ამის შემდეგ ბავშვთა სასკოლო ოლიმპიადის ფინალური მატჩი გაიმართა. **ლაითურის** საჯარო სკოლის ფეხბურთელთა გუნდმა მინიმალური ანგარიშით 1:0 დაამარცხა ოზურგეთის წმინდა გებრიელ ეპისკოპოსის სახელობის სამრევლო სკოლის გუნდი და სასკოლო ოლიმპიადის გამარჯვებული გახდა.

დაიწყო სანერძოლი და როული მართონი. გოდერძი მახარაძეს ფეხით უკან სვლით, თავით ფეხბურთის ბურთით კენწვლით ავიმ ავუმის რეკორდი უნდა მოეხსნა (4 232 მ.) ერთი საათისა და 32 წუთის განმავლობაში მან ბურთის კენწვლით 50-ჯერ შემოუარა სპორტის სასახლის დარბაზს და ჯამში 5 300 მეტრი გაიარა.

— *ხომ იცით დღის გული როგორია, ძალიან ვინერვოული. საბედნიეროდ გოდერძი დასახულ მიზანს მიაღწია — გვითხრა გოდერძი მახარაძის დღამ **ჯულიეტა მახარაძე**.*

გოდერძი მახარაძემ პირველი რეკორდი 1996 წელს დაამყარა. იგი თავით ფეხბურთის ბურთს 8 საათისა და 12 წუთის განმავლობაში კენწვლიდა. მას შემდეგ ათეულობით რეკორდი დაამყარა და დღევანდელი დღის შემდეგ მას ჯამში 58 გინესის რეკორდი ირიცხება.

გულდასაწყობი გოდერძი მახარაძეს ამ დღე გამარჯვებას!

ასპარეზობის მთავარი ორგანიზატორი ოზურგეთის მუნიციპალიტეტი და ოზურგეთის გაერთიანებული სპორტის განვითარების ცენტრი იყო. გენერალური სპონსორი — რესტორანი „ტონუსი“.

16 ლიხაურელი გმირის ხსოვნის პატივსაცემად

ალიონი. ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ციხისხიდში „პეტრას“ ციხის მიდამოებში, რამდენიმე ოზურგეთელმა პატივი მიაგო 1877 წლის 19 ოქტომბერს თურქებთან ომში დაღუპული 16 ლიხაურელის ხსოვნას.

ამ კეთილი საქმის ინიციატორი ექვთიმე თაყაიშვილი სახელობის სახლ-მუზეუმის დირექტორი **რუსლან ურუშაძე**. მან 18 წლის წინ ჩოლოქის ბრძოლის აღნიშვნასაც ჩაუყარა საფუძველი.

თავდაპირველად ოზურგეთელების მცირე დელეგაცია ქობულეთის უფლის ამალგების ტაძარს ესტუმრა, ხოლო შემდეგ 16 გმირის პატივსაცემად „პეტრას“ ციხის კედლებთან 16 სანთელი დაანთეს.

ცნობილია 16 ლიხაურელი გლეხის გმირობა, რომლებიც ომის დაწყების პირველსავე დღეს მოხალისეებად ჩაირიცხნენ ჯარში და ხუთი თვის განმავლობაში მამაცურად იბრძოდნენ. ივანე მყაშვილის წიგნში ვკითხულობთ:

Лехаурцы эти много способствовали успешному действию целой Гурийской дружины как самые боевые и воинственные! При том прекрасно знакомые с местностью

ლიხაურელები გურიის დრუჟინის მთავარი მეგზურები იყვნენ. თურმე მათი ჩაცმულობა, ე.ი. ჩაქურა და აღჭურვილობა ხელს უწყობდა, რათა ყველაზე ძნელად გასავალ ადგილებში მათ ადვილად ემორავად და მტერს შეუმჩნევლად მიახლოებოდნენ. ასევე აღნიშნავდნენ, რომ ლიხაურელები, ისევე, როგორც სხვა გურულები, ჩუბინები იყვნენ, მიზანს არ აცლებდნენ და დიდი ზიანს აყენებდნენ მტრის ცოცხალ ძალას.

1877 წლის 19 ოქტომბერს,



საბრძოლო დავალების შესრულების დროს, მტრის ჭარბ ძალებთან ბრძოლაში თექვსმეტივე ლიხაურელი გმირულად დაიღუპა.

ერთ-ერთი ბრძოლის წინ, სანამ გურულების ასეული პოზიციებს დაიკავებდა, ლიხაურიდან გამოცხადდა 16 ლიხაურელი და ითხოვა რომ მზვერავებად წინ გაემართათ. მათ დართეს ნება და ისინი დიდი სიხარულით გადავიდნენ მდინარე ჩოლოქის მხარეს. მას მიჰყვა გურულთა ასეული. ეს მანევრი შენიშნეს თურქებმა და ძალიან ფრთხილად, ჯარი, რომელიც ოთხჯერ მაინც აღემატებოდა ასეულს, დაიძრა მათ მხარეს. **დრუჟინის მეთაურმა მყაშვილმა** გაიგო რა თურქების მანევრის შესახებ, სასწრაფოდ მოითხოვა პლასტუნების ასეულის უფროსისაგან, რათა დასახმარებლად გასულიყვნენ. მაგრამ მან უარი განუცხადა იმ მიზეზით, რომ ჯარისკაცები მშვიდები არიან და როცა დავაპურებთ, მაშინ გავემზავრებით ჩვენი მეზობლების, გურულების დასახმარებლად.

ამასობაში ატყდა სროლა, ლიხაურელები კი გადაეყარნენ თურქთა ორასკაციან ჯარს და თექვსმეტივე ლიხაურელი ბრძოლაში დაიღუპა. თურქებმა მათ თავები და ხელები მოკვეთეს. მხოლოდ ამის შემდეგ გაემართა პლასტუნთა რაზმი დასახმარებლად, მაგრამ მოწინააღმდეგეს უკან დაეხია. მეორე დღეს **პორუჩიკი დლონტი** რამდენიმე გურულთან ერთად გაემართა ბრძოლის ადგილას და იქ ნახა თავ და ხელმოკვეთილი გვაგები. დლონტი მამინვე დაბრუნდა ქაქუთის პოსტზე, საიდანაც გააგზავნეს შეიარაღებული რაზმი გვაგების წამოსაღებად, რომლებიც ლიხაურში აიტანეს და დიდი პატივით დაასაფლავეს...

მცირე დელეგაციაში შედიოდნენ: ექვთიმე თაყაიშვილის სახლ-მუზეუმის დირექტორი რუსლან ურუშაძე, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი სოფელ ლიხაურში ნანა წითლიძე, თანაშემწე ერეკლე სალუქვაძე, მუზეუმის მეცნიერ-მუშაკი, ლიხაურის საჯარო სკოლის ისტორიის პედაგოგი მაია გოგორიკიძე, გაზეთ „ალიონის“ რედაქტორი ნუგზარ ასათიანი.

„ბახვი ჰესის“ ბარემოსდაცვით და სოციალურ საკითხებზე მომუშავე მრჩეველთა საბჭოს შეხვედრა გაიმართა



2022 წლის 27 ოქტომბერს, ბახვი ჰესის მენეჯმენტის და კომპანიის პიდროენერგეტიკული პროექტების გარემოსდაცვით და სოციალურ საკითხებზე მომუშავე მრჩეველთა საბჭოს მორიგი შეხვედრა გაიმართა. ბახვი ჰესის გენერალურმა დირექტორმა გიორგი აბრამიშვილმა მრჩეველთა საბჭოს გაუზიარა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ბახვი 2 პიდროელექტროსადგურის პროექტის გზშ-ს ანგარიში კომპანიამ 20 ოქტომბერს წარუდგინა გარემოს ეროვნულ სააგენტოს განსახილველად. კომპანია საჯარო განხილვისთვის მზადების ეტაპზე გადავიდა. საჯარო განხილვა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მთისპირში იგეგმება გზშ-ს წარდგენიდან არაუადრეს 25-ე და არაუგვიანეს 30-ე დღისა. გზშ-ს დოკუმენტს, რომელ-

იც საკამოდ სქელტანინანია, თან ერთვის საპროექტო ტერიტორიაზე, საერთაშორისო კომპანია SLR-ის ბრიტანეთის ოფისის მკვლევარის, ნიკოლა ფოქსის ბიომრავალფეროვნების კვლევა და ასევე, ბიომრავალფეროვნების მართვის გეგმა. ფრანგული კომპანია ლპაგე-ს დამფუძნებელმა, საერთაშორისო ექსპერტმა პიერ ბიდერმანმა კი განახორციელა კუმულაციური, მიკრო და მაკროკლიმატის კვლევა, რომელიც ასევე, გზშ-ს დოკუმენტის ნაწილია. გზშ-ზე მუშაობის პროცესში ქართველი ექსპერტის ნიკოლოზ ქერდიფოშვილის მიერ განხორციელდა კვლევა წავის პოპულაციის შესახებ. მეორე მნიშვნელოვანი სახე, ბახვი ჰესში ევროპელი ინვესტორის, ავსტრიული საოჯახო ფონდის „ILAG“ შემოსვლის შესახებ გაუ-

ერდა.

— „ILAG-ი საინვესტიციო ფონდი და ძალიან გვახარებს მათთან პარტნიორობა. საოჯახო საინვესტიციო ფონდები მიღებული პრაქტიკა ევროპასა და ამერიკაში. ავსტრიული ფონდი საქართველოში პირველად 2011 წელს შემოვიდა. ამჟამად ისინი არაკვი ჰესის თანამფლობელები არიან. მეორე პიდროენერგეტიკული პროექტი კი მათთვის ბახვი ჰესი იქნება. ILAG-ს საინვესტიციო პროექტები ძირითადად ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში აქვთ. მნიშვნელოვანია მათთან პარტნიორობა. კავკასიის განახლებადი ენერჯის ჰოლდინგი ერთის მხრივ და ILAG-ი მეორეს მხრივ ამერიკულ-ევროპულ ინვესტიციას ქმნის ოზურგეთში. ჩვენ გვჯერა, რომ ერთად შევძლებთ საუკეთესო და სამაგალითო პროექტის განხორციელებას გურიაში. გვაქვს ამბიცია, რომ განვახორციელებთ უპრეცედენტო პროექტს და ერთად მივიღებთ საუკეთესო შედეგებს“ — განაცხადა ბახვი ჰესის დირექტორმა, გიორგი აბრამიშვილმა.

შეხვედრაზე კომპანიის მენეჯმენტის წარმომადგენლებმა მრჩეველთა საბჭოს წევრებს გააცნეს ინფორმაცია 2022 წლის შემოდგომის პერიოდში მიმდინარე და უკვე დასრულებული სოციალური პროექტების შესახებ. ასევე, განიხილეს სხვადასხვა საკითხი, მათ შორის სტრუქტურული პროგრამის ფარგლებში არსებული

სტრუქტურული დახმარებების გაცემის შესახებ.

შეხვედრის ფარგლებში გაიმართა დისკუსია სექტორში არსებულ გამოწვევებზე და დაისახა არსებულ გამოწვევებთან გამკლავების გზები და მექანიზმები.

კავკასიის განახლებადი ენერჯის ჰოლდინგის გარემოსდაცვისა და სოციალური საკითხების მენეჯერმა, ნანა ბერძენიშვილმა საბჭოს წევრებს გააცნო ინფორმაცია კავკასიის განახლებადი ენერჯის ჰოლდინგის პორტფელში არსებული პიდროელექტროსადგურის ახალქალაქი ჰესის მშენებლობის დასრულების და გენერაციის დაწყების შესახებ და საბჭოს წევრები დააპატიჟა ახალქალაქში, ჰესის დასათვალიერებლად.

— „მოხარულნი ვართ, რომ დასრულდა სამცხე-ჯავახეთის რეგიონში ჩვენს პორტფელში არსებული ახალქალაქი ჰესის მშენებლობა. ჩვენ უკვე დაიწყოთ გენერაცია. ახალქალაქი ჰესი ამერიკული და ევროპული ერთობლივი ინვესტიციაა საქართველოს ენერჯეტიკის სფეროში. ახალქალაქის პროექტში ჩვენი მინორიტარული პარტნიორია ისლანდიური სახელმწიფო ენერჯიკომპანია, „Landsvirkjun Power“ („LVP“). ახალქალაქი ჰესის პროექტის ფარგლებში გვაქვს საუკეთესო მაგალითები თემთა ურთიერთობის, რისი შედეგაცაა ის სოციალური პროექტები, რომელიც პროექტთან ახლოს მდებარე სოფლებში განხორ-

ციელდა. ჩვენ ყველა პროექტში ვინარჩუნებთ ერთ ხელვას, რომლის მიზანია ზრუნვა ადამიანებზე, ბუნებასა და რეგიონის განვითარებაზე“ — განაცხადა **ნანა ბერძენიშვილმა**.

საბჭოს შეხვედრები ბახვი ჰესის ინიციატივით იმართება და ემსახურება ერთის მხრივ საბჭოს წევრებისთვის პროექტების მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციის დროულად და ფეფტიანად მიწოდებას, მეორეს მხრივ კი მათგან საინფორმაციო მოსაზრებების და რეკომენდაციების მოსმენას. შეხვედრა ოზურგეთში, ბახვი ჰესის ოფისში გაიმართა.

შეგახსენებთ, ბახვი ჰესის გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების მრჩეველთა საბჭო კომპანიის ინიციატივით შექმნილი სათათბირო ორგანოა, რომლის მიზანი, დაინტერესებული მხარეების მეტი ჩართულობა და პიდროელექტროსადგურების პროექტების მეტი გამჭვირვალობაა. საბჭო ჩონატაურისა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტებიდან ნომინირებული 12 დამოუკიდებელი წევრისაგან შედგება. საბჭოში სხვადასხვა სექტორის წარმომადგენლები არიან გაერთიანებული, კერძოდ, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები და არასამთავრობო ორგანიზაციები, მედია და ბიზნესი.

დაზინანსებული ფართი

რაჟდენ მჟავიას ბახ სენება



რაჟდენ პავლეს ძე მჟავია დაიბადა 1902 წელს, ოზურგეთის მაზრის სოფელ კონჭკათში – მომღერლის ოჯახში. რაჟდენმა ბავშვობიდან შეიყვარა გურული ხალხური სიმღერა, რამაც ხელი შეუწყო შემდგომ მომხდარიყო ცნობილი მომღერლის და ლობჯინას ვარლამ სიმონიშვილის ეროვნო-გურული გუნდში.

იგი 1932 წლიდან ირიცხებოდა ამ გუნდში და ითვლება ერთ-ერთ საუკეთესო წევრად. რაჟდენი კარგად ფლობდა ე.წ. კრიმინალულ და ვარლამი ორპირულ გუნდურ სიმღერებში ერთ მხარეს – ასევე ცნობილ მოკრიმინალულს – დათიკო მდინარაძეს მიანდობდა კრიმინალულს და მეორე მხარეს რაჟდენ მჟავიას ამღერებდა. გურული სიმღერების ვარლამიშვილ არქივში არსებობს ფირფიტები, სადაც – ამ ორი მოკრიმინალულს – დათიკო მდინარაძის და რაჟდენ მჟავიას ნამღერი სიმღერებია. ესენი არიან: „შვიდკაცა“, „ბურთის გამარჯვება“, „ნადური“ და სხვა.

სამწუხაროდ, რაჟდენმა ბევრი სიმღერის ჩაწერა ვერ მოასწრო, რადგან იგი 1941 წელს მოხალისედ წავიდა ფრონტზე (მას ჯავშანი

ჰქონდა, მაგრამ იგი ოჯახს და ვარლამ სიმონიშვილს გაეპარა და ჩუმად წავიდა ომში). რაჟდენ მჟავიამ ადრეულ ასაკში შექმნა ოჯახი. მან 1920 წელს ცოლად შეირთო თამარ გულაგაძე, რომელთანაც ეყოლა 5 შვილი, ერთი ქალიშვილი და ოთხი ვაჟი. ერთ-ერთი შვილი ბიძინა მჟავია მამის კვალს გაჰყვა და დაეუფლა გურულ სიმღერებს. იგი არის ანსამბლი „იადონის“ და „ხელხვაის“ ხელმძღვანელი. „იადონი“ შეიქმნა გიორგი სალუქვაძის მიერ, ხოლო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სახალხო ანსამბლი „ხელხვაი“ ჩამოაყალიბა და დღესაც მოღვაწეობს ნიჭიერი ხელმძღვანელი ბიძინა მჟავია.

ბიძინა მჟავიამ 45 წლის შემდეგ მიაგნო მამის საფლავს, რომელიც დაღესტანში, ქალაქ დერბენდში დასაფლავებულია ძმათა სასაფლაოზე. აქ 1100 ჯარისკაცი განისვენებს.

ბიძინა მჟავიამ ღირსეული პატივის მიაგო მამის ხსოვნას.

რაჟდენის საფლავზე ოჯახის წევრები იყვნენ, მათ შორის იყო რაჟდენის 85 წლის მეუღლე თამარი, რომელმაც დაჟინებით მოითხოვა – „მეც უნდა წამოვიდეო.“

როგორც ბიძინამ მამამო – დედამეცა ყველას გვაჯობა გამძლეობაშიო. იგი არ დალილა. მხნედ იყო სულ, ალბათ იმის სურვილით, რომ ვალმხდელი მისულიყო უსაყვარლესი ადამიანის საფლავთან. ბარაკალა მის ქალობას!

მე კი ღმერთს ვევედრები – ნათელში ამყოფოს მისი სპეტაკი სული და სინანულით ვამბობ: „სადურსა სად წაიყვან ღმერთო!“

ტრისტან სისხარულიძე,
ხელოვნების ქურუმი



„აი იას“ შემობრძანება იაკობ გოგებაშვილის დაბადების დღეს დაუკავშირეს



სიპ-აკაკი სურგულაძის სახელობის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ შემოქმედის საჯარო სკოლის პირველკლასელებმა და მასწავლებელმა მანანა მექვაბი-შვილმა „აი იას“ შემობრძანება იაკობ გოგებაშვილის დაბადების დღეს დაუკავშირეს. საკლასო ოთახში დასადგურებული სიხარულის თანახმად გაეცხადეს, პატარებმა თავი მოგვარონეს ლექსებით, სიმღერებით, საინტერესო აქტივობებით. ამდღევადელი იყო პატარებისათვის ქართული ენის გასაღების აღმოჩენა, ორი ლამაზი ბგერა ა და ი, რომლითაც უპირველესი ქართული წინადადება „აი ია.“ წარმოითქმება.

მიწის გაუღანობის პროცესები

ამ თემის ბევრჯერ შეგხებიათ, მაგრამ იძულებული ვართ ერთხელ კიდევ შეგასწავლო. იცლება სოფლები, გაუღანობიანდება და გამოუყვებელია სასოფლო-სამეურნეო მიწები, რაც იწვევს სიღარიბის პრობლემას, რომელიც ქვეყნის დღის წესრიგში მოწინავე პოზიციას იკავებს.

ცნობილია რომ, საქართველოს მთლიანი ტერიტორია შეადგენს 7000 ათას ჰა-ს. საქართველო მისი რელიეფური პირობებიდან გამომდინარე, ნიადაგის შეზღუდული რესურსებით ხასიათდება, ამიტომ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებს მხოლოდ 43,4% უჭირავს, რომელშიც შედის საძოვრები და მდელოები.

საქართველოს ერთი მხრიდან ესაზღვრება შავი ზღვა, მეორე მხრიდან კავკასიონი, რომელიც განსაზღვრავს საქართველოს ეკოლოგიურ და კლიმატურ ნაირსახეობას. კლიმატისა და ნიადაგწარმოქმნის კანონების მრავალფეროვნება განაპირობებს საქართველოში ნიადაგური ტიპების სხვადასხვაობას და წყვეტილი მთა-მდელოდან დაბინძურებული ჰაბიანს და ტენიან სუბტროპიკებით. საქართველოს ნიადაგურ მუხურსაც უწოდებენ. მაგრამ საქართველოში არსებული კლიმატურ და ნიადაგურ მრავალფეროვნებას სარგებელთან ერთად ახლავს სირთულეები, რამაც იგულისხმება ჰაერის ტემპერატურის მკვეთრი ცვალებადობა, აქტიური ეროზიული მოვლენები, უხვი ნალექიანობა ზოგიერთ რაიონებში განსაკუთრებით საყურადღებოა ბოლო წლებში. ყოველივე ეს როგორც ბუნებრივი ისე ანთროპოგენული ზემოქმედება აძლიერებს ეროზიულ პროცესებს, გაიზარდა დამლაშებული ბიციბები, ფიზიოლოგიურად მყავე სასუქების გამოყენებით და ქიმიური მელიორაციის შემცირებით გაზარდია მყავე ნიადაგები, სარწყავი სისტემის მოუწყობიანობამ გამოიწვია მთიარული დაჭობება კოლხეთის ზონაში, სასუქების არასწორი და არარაციონალური გამოყენებამ, რაც განაპირობებულა ავროკიმიური კვლევის უგულვლყოფით ნიადაგში შეამცირა ჰუმუსისა და საკვები ელემენტების შემცველობა.

ნებისმიერ ქვეყანაში მოსახლეობის ცხოვრების დონე რესურსული პოტენციალის რაოდენობრივ და ხარისხობრივ მანერებზეა დამოკიდებული, აქედან მნიშვნელოვანია ბუნებრივი რესურსის მიწის აღრიცხვის და მესაკუთრების ფორმის ცოდნა, რაც მიწის განკარგვის, დევეგების, დაცვისა და გაუმჯობესების პროცესს დაეხმარება. ეს პროცესი სიტყმატურ ხასიათს უნდა ატარებდეს, ასევე მნიშვნელოვანია

მიწის სრული კვლევა, მისი ხარისხიანობის დადგენა, რომელიც სამწუხაროდ ვერ-ვკარობთ მოუგვარებელია ნიადაგის ხარისხობრივი მანერების შესწავლა ხდება მხოლოდ პროექტით გათვალისწინებულ ნაკვეთებში. რაც შეეხება, საქართველოს ნიადაგების სრული გამოკვლევის პროცესი ვერ-ვკარობთ საფლავებულად არ არის მიჩნეული და იგი 1991 წლის შემდეგ არ განხორციელებულა. რის შედეგადაც სპონტანურად ხდება კულტურათა განლაგება. არ არის გათვალისწინებული კულტურათა მოთხოვნილება კლიმატურ-ნიადაგურ პირობებზე. ამის საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს თხილის კულტურა, როგორც ცნობილია, თხილი ძირითადად გაშენებულია დასავლეთ საქართველოში, კერძოდ, აჭარა, სამეგრელოს, გურიისა და იმერეთის რეგიონებში. ამ რეგიონებში უმეტესი ფართობი უჭირავს წითელმიწა, ყვითელმიწა, წითელმიწა გაწურულ და ეწერი ტიპის ნიადაგებს, რომლებიც ხასიათდებიან მყავე რეაქციით. ამ ტიპის ნიადაგები მისაღება მხოლოდ ჩაის, ლუჯივი მოცვის და ხანჭკოლას კულტურებისთვის. სწორედ აქედან გამომდინარე გაშენდა დასავლეთ საქართველოს ამ რეგიონში ჩაის კულტურა, რომელსაც არ გააჩნია ალტერნატივა. რაც შეეხება, თხილის კულტურას იგი თავისი განვითარებისათვის მოთხოვს სუსტ მყავე, ნეოტრალურთან ახლოს მდგომ ნიადაგებს, ამიტომ სანამ დასავლეთის ამ რეგიონებში თხილის კულტურას გაშენდნენ, საჭირო იყო ნიადაგების სრული გამოკვლევა.

როგორც ცნობილია, თხილის გაშენება ძირითადად მოხდა ნაჩიარ ნიადაგებზე. ვერ კიდევ 2007 წელს ნიადაგის, სურსათისა და მცენარეთა ინტეგრირებული დაცვის ცენტრ „ანასილის“ სპეციალისტები ჟურნალ „აგროინფოს“ მე-7 ნომერში გამოქვეყნებულ სტატიაში მოუთხოვდნენ ნაჩიარ ნიადაგებზე თხილის გაშენების ღონისძიებების გატარების შესახებ. ძირითადი ყურადღება გამახვილებული იყო მყავე ნიადაგების ქიმიურ მელიორაციაზე და ჩასატარებელ აგრო-ტექნიკურ ღონისძიებებზე, რაც უნდა განხორციელებინათ ფერმერებს. სინამდვილეში მოხდა საწინააღმდეგო, ფერმერებმა პრიმატიზებული ჩაის პლანტაციების ამოძრკვა დაიწყეს სპონტანურად. მექანიზაციის დახმარებით მთლიანად მოხსნეს ჰუმუსოვანი ზედა ფენა, ჩაის ნარგავთან ერთად გატარეს ნაკვეთებიდან და დაწვეს. შემდეგ ყოველგვარი გამოკვლევებისა და ღონისძიებების გატარების გარეშე დაიწვეს თხილის გაშენება, რომელიც

გარკვეული წლების განმავლობაში განვითარდა, მაგრამ ფერმერები მალე დადგნენ ფაქტის წინაშე.

ცენტრ „ანასილის“ საგამოცდო ლაბორატორია 2014 წლიდან, 5 წლის ვადით, გამარჯვებული იყო თხილის ასოციაციის მიერ გამოცხადებულ ტენდერში და აწარმოებდა თხილის ასოციაციაში გაერთიანებული ფერმერების თხილის ნაკვეთების გამოკვლევას. ხარისხობრივი მანერებების შესწავლამ გვიჩვენა, რომ გამოკვლეული ნაკვეთების 80% მყავიანობის და ნიადაგის ნოციფიერების მიხედვით არ აკმაყოფილებდა თხილის კულტურის მოთხოვნას ნიადაგურ პირობებზე. შედეგად არ დაყოვნა, თხილის კულტურა ვერ შეხვდა მომხდებული დაავადებებსა და მავნებლებს. ამას თან დაერთვა კლიმატური პირობების ძლიერი ცვალებადობა, რამაც გამოიწვია თხილის ფართობების მასობრივი განადგურება. ახლა პირიქით მოხდა, ფერმერებმა დაიწყეს თხილის კულტურის ამოძრკვა და მოცვის კულტურის გაშენება, ნაცვლად იმისა რომ განუხორციელებინათ ის ღონისძიებები, რაც გაუმჯობესებდა ნიადაგურ პირობებს. ეს ღონისძიებები კი ითვალისწინებდა იმ ბუნებრივ რესურსების გამოყენებას, რომელიც მოიპოვება დასავლეთ საქართველოს, კერძოდ სამეგრელოს ზონაში, ეს არის მელიორანტები და ორგანული სასუქები.

ორიოდ სიტყვით მინდა შევეხო ჩაის კულტურას. ჩაის კულტურის გასაშენებლად ხელსაყრელად ითვლება ნაყოფიერი, კარგი სტრუქტურის მქონე მყავე ნიადაგები. ასეთ ნიადაგებს მიეკუთვნება ტენიანი სუბტროპიკების ნიადაგთა ძირითადი ტიპები, ასევე ჩაის კულტურისათვის მისაღება ტენიანი სუბტროპიკების კლიმატური პირობები: ჰაერის შეფარდებით ტენიანობა, ნალექების რაოდენობა და ტემპერატურა. სწორედ ზემოთხსენებულმა პირობებმა განაპირობა ჩაის კულტურის გაშენება საქართველოს ტენიან სუბტროპიკებში, სადაც მას 1990 წლამდე 60 ათას ჰა-ზე მეტი ეჭირა. ქვეყანა ეკონომიურად და სოციალურად განსაკუთრებით სუბტროპიკული ზონაში წელში გაიმართა.

1990 წლიდან ქვეყანაში შექმნილი ეკონომიური და პოლიტიკური არასტაბილურობის გამო, მჭაიობის დარგმა დაკარგა პროდუქციის გასაღების სტაბილური ბაზარი. რის შედეგად ფერმერებმა იწყეს პრიმატიზებული ჩაის პლანტაციების ამოძრკვა. პლანტაციათა უმრავლესობა დაიფარა სარეველებით. 2018 წლისთვის ჩაის პლანტაციების რაოდენობა 3 ათას ჰა-მდე შემცირდა. სამწუხაროდ საქართველო

მსოფლიოში ერთადერთი ქვეყანაა, რომელმაც ასე მკვეთრად შეამცირა ჩაის პლანტაციის ფართობები. ეს იყო გამოუსწორებელი შეცდომა. ახლა ალბათ ყველა დარწმუნებულია იმაში, რომ დასავლეთ საქართველოს ტენიან სუბტროპიკებში მყავე წითელმიწა, ყვითელმიწა, ეწერი ნიადაგებზე ჩაის კულტურის შემცველი კულტურა არ არსებობს.

2016 წლიდან დაიწყო ჩაის რეაბილიტაციის პროგრამა. რეაბილიტაციასთან ერთად დღის წესრიგში უნდა დადგეს სანერგე მურნეობის მოწყობა და ჩაის ახალი პლანტაციების გაშენება, ძველი ამორტიზირებული სარეველებით დაფარული პლანტაციების ამოძრკვის სარგებზე. ამასთანავე ერთად, პროექტ „დნერგე მომავლის“ ჩამონათვალში უნდა შევიდეს ჩაის კულტურა 100%-იანი დაფინანსებით.

მჭაიობის აღდგენა სუბტროპიკულ ზონაში გამოიწვევს ეკონომიკის საბაზისო დარგის განვითარებას, რასაც მოყვება მოსახლეობის მიგრაციის შემცირება, ქართული სოფლების და გაუღანობიერების მიწების აღდგენა.

საქართველოს ძირითადი ტერიტორია უსწორმასწორო რელიეფზეა განაწილებული, შესაბამისად მაღალია ეროზიის რისკი, ასევე რისკებს ზრდის უხვი ნალექები, ქარი, ანთროპოგენული ფაქტორები, არასწორი სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა, ეროზიისგან ნიადაგის დაცვისთვის საჭიროა აღდგენილი იქნას განადგურებული ქარსაფარის ზონები და დავეგმოს ახალი ქარსაფარი ზონების გაშენება. შემცირდეს ტყის უნებართვოდ გაჩენა, განადგურება, მოწესრიგდეს სარწყავი სისტემები, ფერდობებზე კულტურათა გაშენებისას გაკეთდეს ტერასები და ბუფერული კვლები, შემუშავდეს ეროზიურული ფართობების სწორი განყოფილების სისტემა სრული გამოკვლევების საფუძველზე.

ნიადაგის თვისობრივი ხარისხის შეუსწავლადობა, ნიადაგის დეგრადაცია, რესურსების ეფექტური მართვის არქონა, ახალი ტექნოლოგიების შეზღუდული ხელმისაწვდომობა ეს არის ძირითადი პრობლემები ნიადაგის გაუღანობისა.

რუსუღან ტაბიძე,

სოფლის მეურნეობის აკადემიური დოქტორი

ილია და გურულები

ამბავი რამდენიმე გურული გამომცემლისა, მესტაბისა და ერთი მთავარი ასოთაფორმისა

შთაბეჭდავი ბიოგრაფია, არა?! არის!

თქვენი არ ვიცი და მე კიდევ ერთხელ გადავიკითხე სურვილს მიჩენს...

გადავიკითხე და შემდეგ, კიდევ ერთ არამხოლოდ მესტაბზე, გაავარძელებს საუბარს...

„არამხოლოდ მესტაბზე“ – ექვთიმე ხელაძე, თბილისში არსებული ექვსი სტამბიდან ერთის მფლობელი და წიგნის გამომცემელი. სწორედ „მის სტამბაში პერიოდულად იბეჭდებოდა „ივერია“, „კვალი“, „წყარო“, „ჯეჯელი“, „ცისკარი“; აქვე დაიბეჭდა კათოლიკოს ანტონ I-ის „მზამეტყველება“ და „ქართული გრამატიკა“, დავით გურამიშვილის „დავითიანი“, ბარბარე ჯორჯაძის „სრული სამზარეულო“, ილიას, აკაკის, იაკობ გოგებაშვილის და სხვა მწერლების ნაშრომები; ექვთიმე ხელაძე იყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ერთ-ერთი დამფუძნებელი და საზოგადოების გამომცემთა შემოქმედი; სტამბამ დიდი როლი ითამაშა ქართული წიგნის გამრავლების საქმეში; 1902 წელს თბილისში ქართულმა საზოგადოებამ ხელაძის სტამბის 30 წლის იუბილე იხეიმა.“

ზეიმის მასშტაბურობაზე ვერაფერს გეტყვით, თუმცა, დანტერესების შემთხვევაში ზაქარია ჭიჭინაძის „ისტორიულ მიმოხილვის“ („ექვთიმე ივანეს ძის ხელაძის სტამბის 30 წლის არსებობის დღესასწაულის გამო) გაცნობით შეიქმნით არც თუ სუბიექტურ აზრს (იხ.<http://openlibrary.ge/bitstream/123456789/6759/5/Ekvtime%20Heladzis%20-1902%20w.pdf>). არა მხოლოდ ზეიმის მასშტაბურობაზე, არამედ, თავად ექვთიმე ხელაძის პიროვნებაზე და ვიდრე ზოგიერთი მკითხველი ახლახან თქმულს ეხმაურება, მე ჩემი მხრივ, ერთი „წერილის“ და ერთი „სიტყვის“ სრულად მოტანას ვაპირებ და ნუ დამძრახავთ, თუ „სიტყვა“ ჩემი მოგვარის დიომიდე კილაძისა...

ბატონი დიომიდეს სახელი 1994 წლის 13 მარტს გავიგონე პირველად.

სწორედ იმ დღეს, გამომცემლობა „მერიდიანის“ ახლადანიშნულმა და თანაც პირველმა დირექტორმა მამჩემს დაურეკე ასე და ასეა ჩემი ამბავი-მეთქი, მამა, მოლოცვამდე „დიომიდე კილაძე თუ გავიგონიაო“, მკითხა...

– არა, ივანე კილაძე გამიგონია, სტამბის მებატრონე რომ იყო ქუთაისში – ჩავაძახე ყურმილში (მოგესხენებათ, იმ დროს ჯერ კიდევ სჭირდება „ყურმილში ჩაძახება“...) – ასოთაფორმის იყო და სტამბაზე იფიქრე! – ისე „ამომძახა ყურმილიდან“, თითქოს სტამბის დანადგარების ფული „აჩქებთ“ მეწყოჯბეში და მინც, „გაივლის წლები“ და მე რომ გამომცემლობას ვხელმძღვანელობდი იმ გამომცემლობის სტამბაში შესულს მამა, „დახვრეტის მოლოდინში კედელთან მდგომი პოლოკონიკი აურელიანო ბუნდია“, დიდი კოლუმბიელი, სტუდენტობის ერთსაწლიანი ოთახის იატაკზე დაგდებული „მარტოობის ასი წელიწადი“ ერთად გამაძინებდა და პირველად შემრცხვება იატაკზე ლოგინთან დაგდებული საუცხოო წიგნის...

მრცხვენია! კარგა ხანია, რომ არ ჩამძინებია „დიდი წიგნის“ კითხვისას...

28 წლის ვიყავი იმ დროს მე და 70 წლის გახდა იმ წელს მამა...

ფილიმონ ქორიძის წერილით გაავარძელებს ლირიკულ გადახვევამდე შეწყვეტილ საუბარს, შემდეგ ილია და ფილიმონ-ბატონის ურთიერთობის ორი ამბავს გავიხსენებ და მხოლოდ მას მოვყვარებ დიომიდე-ბატონის „სიტყვას“...

ვიწყებ:

„დიდათ პატივცემული მკვთი-მე ივანეს კმე!

ოცდაათი წელიწადი დიდი ხანა არის რაიმე ხელოვნების აღსასრულებლად კაცის ცხოვრებაში კაცი, რაც უნდა კმაყოფილი იყოს თავისი მუშაობით, რაც უნდა უზრუნველ იყოს მისი მდგომარეობა, მინც მუშაობა ოცდა ათი წლის განმავლობაში თავს მოაბეზრებს, მოლაღავს და ენერგიასაც შეუსუსტებს; მაგრამ შენ კი ეს ხანა მუშაობისა თუმცაღა განვლე ეკლის გზითა, რაზედაც შეგხვდა ბევრი უსიამოვნება, ბევრთაგან ხელის შეშლა, სიღარიბე, მაგრამ მხნეობა შეწი და ენერგია არ შედრეკილა. მოვალეობას ასრულებდი მთავრობის და საზოგადოების წინაშე კეთილ სინდისიანათ. გარდა ამისა ბევრი კეთილი საქმე დაგეთესია შენ ხანგრძლივ სტამბის სამსახურში. ნაყოფიც კეთილი თესლისა თვალ-წინ გვიდგას: შენ მიერ აღზდილი ახალ გაზღობა თითქმის ყველგან და ყველა სტამბებში მუშაობენ და უზრუნველად თავს იკვებებენ. ამ გვარი შრომა და ღვაწლი შენი ოცდაათი წლის სტამბაში მუშაობისა, იმისი გამოცემა, პატრონობა სინდისიანათ და გავრცელება დიდი განძია სასტამბო ისტორიისათვის, ამისათვის მოვილოცავ ამ საქმეარსადიდებელ შრომას და ვისურვებ ამავე შრომით და ენერგიით განგვევრდოს ნაკისრი საქმე მთორე იუბილეშიც.

ევროპიულ ოპერათა არტისტი მომღერალი

ფილიმონ ქორიძე. „მატიანეს“ კალენდრით 1884 10 ოქტომბერია.

დღეს 2020-ის 10 ოქტომბერია...

მიუხედავად იმისა რომ, ჩემი საუკეთესო მეგობრის დაბადების დღეა და იქ მიმეჩქარება წერას მინც ვარძელებ და „მატიანეს“ კალენდრით 1884 10 ოქტომბერს ვუბრუნდები - ილია თავმჯდომარეობს ქმშ-კგ საზოგადოების სხდომას, რომელზეც „ბათუმიდან იღებენ ფილიმონ ქორიძის მიერ გამართული კონცერტიდან შემოსულ თანხას“.

იგივე მოხდება 1884 11 დეკემბერს გამართულ ქმშ-კგ საზოგადოების სხდომაზე. „მატიანე“ ვგამცნობს: „შემოწირობას იღებენ ფილიმონ ქორიძის მიერ გამართული კონცერტის შემოსავლიდან.“

ნეტა რამდენი იყო შემოწირობები და რამდენი კაცი, ქალი და ბავშვი ესწრებოდა „ევროპიულ ოპერათა არტისტი მომღერალი“-ს კონცერტს?!

საინტერესოა, ჩემგან უპასუხო კითხვა. რას ვიზამთ?

უკეთეს დროს უნდა დაველოდოთ.. დიომიდე კილაძის „მოსმენის“ დროა... ერთად „მოუესმინოთ“.

„სიტყვა ასოთ ამწყობლის დიომიდე კილაძისა.

ბატონო ექვთიმე ივანეს ძე! თქვენის 30 წლის სტამბის არსებობის დღესასწაულს, მეც დიდის სიამოვნებით ვეგებები, რადგანაც მე თქვენის საშუალებით გამეხსნა ცხოვრების გზა და კვალი. თქვენის საშუალებით ვნახე თფილისი, თქვენ ჩამომიყვანეთ გურიიდან და სტამბაში მიმიღეთ მოწაფეთ.

ვინ იცის? თქვენ რომ არ ბრძანებუ-ლიყავით და თქვენი დახმარება არ მქონოდა უამისოდ მე სად ჩავარდნილიყავი, რა ხალხსა და წრეში და მასთან ვან იცის რა მესწავლა და რა შემოვივსა. შესაძლებელი იქნებოდა, რომ თქვენგან ეს ჩემი მფარველობა ასე არ მომხდარიყო, უამისოდ მე ისეთ გარემოებაში ჩავარდნილიყავი, რომ მით მეც სამუდამოთ გაგფუჭებულეყავი. ცუდ-კაცად გამოვსულ ვიყავ. მაღლობა ღმერთს, რომ მე ამ გარემოებას თქვენის წყალობით ავსციდი.

ამიტომ მოგმართავთ და სრულის თანაგრძობით გიცხადებთ ჩემს პატივისცემას და თანაგრძობას, რათა კვალად დიდხანს იცოცხლოთ და იმუშაკოთ სტამბის ასპარეზზე. ღმერთმა გაცოცხლოთ და კარგათ ბრძანდებოდეთ.

კარგი „სიტყვა“ , რაღაცნაირად ალალი და გულიანი...

ჰოდა, ამ ალალი და გულიანი კაცის ერთ ისტორიას გავიხსენებ (ორი ვიცი სულ, ერთი ალექსანდრე ყაზბეგს ეხება, მეორე - აკაკი წერეთელს. პირველი ამბები.ჯგ-ზე წავიკითხე, სტატიაში „ცნობილი ქართველი მწერლების ჩვენები და თავისებურებები“ (ავტორი:ირმა ხარშილაძე). მეორე, სტატიაში - აკაკის ოხუნჯობა და გაზეთი „დროება“ (<https://tbiliseli.livejournal.com/319573.html>). სხვათაშორის, არ დავიზარე და სტატიაშივე მითითებულ ბმულზე გადასვლით დავით მესხის „მოგონებანი“ არსებობის ამბავიც გავიგე და ხსენებულ ამბავს კიდევ უფრო დავწვრილებით გავეცანი):

„ალექსანდრე ყაზბეგს გაზეთ „დროებაში“ მუშაობისას „გაჭირვების ტალკეცს“ უწოდებდნენ. როდესაც მეფის ცენზურა დასაბეჭდად გამზადებულ რომელიმე გვერდს წითელი მელნით „დაასისხლიანებდა“, გაზეთის ცარიელი გვერდები ალექსანდრე ყაზბეგის თხზულებებით უნდა შევსებულიყო. ყაზბეგიც წერდა ხან სანთლის შუქზე, ხანაც ლამფის... სწორედ ასე და ამ პერიოდში, უშუალოდ „დროების“ რედაქციაში დაწერი-ლა „მამის მკვლელი“. მისი „ელგუჯა“ კი თავდაპირველად ელგუჯას სიკვდილით მთავრდებოდა. სტამბის ასოთაფორმების განუცხადებიათ, ფელეტონს არ ავარჯობთ, თუ სანდრო ელგუჯას ამბავს არ განავრძობს, ამისთანა ვაუკაცს ასე ადრე არ მოვაკვლევიანებთო. ამ ულტიმატუმით მივიდნენ სანდროსთან რედაქციაში დიომიდე კილაძე და ორი ასოთაფორმის. ალექსანდრეს გაუთვალისწინებია მუშების თხოვნა თუ რჩევა, მძიმედ დაჭრილი ელგუჯასთვის სიცოცხლე უჩუქებია და მოთხრობის ბოლოს მიუწერია: „გავარძელება იქნება“.

ილია და ექვთიმე ხელაძის ურთიერთობის ამბები უნდა შეგახსენოთ/გაგაცნოთ, დროა:

1. „მატიანეს“ კალენდრით „1877 3 მარტამდე წიგნის საგამომცემლო ქართველთა ამხანაგობა, სერიით „ქართული მწერლობა“, ექვთიმე ხელაძის სტამბაში წიგნად ბეჭდავს ილია ჭავჭავაძისა და ივანე მაჩაბლის მიერ ინგლისურიდან თარგმნილ უილიამ შექსპირის „მეფე ლირს“.

2. 1885 20 დეკემბრამდე ექვთიმე ხელაძის სტამბაში ბეჭდავს გაზეთ „ივერიის“ სარეკლამო ფურცელს და პროგრამას(სტამბურად ნაბეჭდი ტექსტი, რომელიც 1885 წელს დაეგზავნა იმ პირებს, რომელთა მოწვევაც ილიას უნდოდა „ივერიაში“ სათანამშრომლოდ). ჟურნალ „ივერიის“ გაზეთად გადაკეთების გამო ილიამ თანამშრომლებად მიიწვია ლიტერატურისა და კულტურის მოღვაწენი. ამგვარი ტექსტი რამდენიმე ცალკეა და ცუდი. მათი ადრესატები არიან: ნიკოლოზი, სოფრომ მგალობლიშვილი, დავით კარიჭაშვილი, ეგნატე იოსელიანი, მიხეილ მაჩაბელი (იხ. : 19735, 15746, 17622, 3230; მიხ. მაჩაბლის ფონდი, 94).

ალ. ყაზბეგისადმი გაგზავნილ მიმართვის ტექსტს ილიას ხელით მიწერილი აქვს: „მის მაღალ-კეთილ-შობილებას, ბ-ნ ალექსანდრე მიხეილის ძე ყაზბეგს“ (ი. ჭავჭავაძის ფონდი 895, 1885 წელი. 20 დეკემბერს ამ ამონაბეჭდის ერთ ეგზემპლარს უგზავნის იონა მეუნარეას.).

3. 1885 დეკემბრის ბოლო ექვთიმე ხელაძის სტამბაში იბეჭდება სარეკლამო ფურცელი, რომელიც იუწყება, რომ 1886 წლის 1 იანვრიდან ილია ჭავჭავაძის რედაქტორობით გამოვა ყოველდღიური გაზეთი „ივერია“.

4. 1886 2 იანვარი კავკასიის საცენზურო კომიტეტი წერილობით მიმართავს თბილისის საოლქო სასამართლოს პროკურორს გაზეთ „ივერიის“ პროგრამის ცენზურის ნებადაურთველად დაბეჭდვის გამო და მოითხოვს მესტაბზე ექვთიმე ხელაძის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემას.

5. 1886 21 ივლისი კავკასიის საცენ-



ზურო კომიტეტს სთხოვს ნებართვას, რომ ექვთიმე ხელაძეს, წიგნად გამოცემის მიზნით, ამოაბეჭდინოს „ივერიის“ სხვადასხვა ნომრებში „ნაკვესების“ და „დამაკვირდის“ რუბრიკებში გამოქვეყნებული მასალა.

ექვთიმე ხელაძის ბიოგრაფიის გურულებისთვის გახენება/გაცნობის დროა, თუმცა ჯერ ლირიკულად კიდევ ერთხელ უნდა გადავუხვიო და დედასთან ჩემი მორიგი სტუმრობიდან ერთი ამბავი გავიხსენო...

„ალიონის“ მორიგი ნომერი „ხელში ჩავიგდე“ თუ არა, დედასთან, კი არ წავედი, რომ იტყვიან „გავიქეცი“.

„ბევრი ვიარე თუ ცოტა“, როგორც იქნა მეექვსე სართულზე ავირბინე, კარი საკუთარი გასაღებით გავაღე და დედას („კარჭი“ რომ შემომეგება, იმაზე საუბარი არც ღირს!) გაზეთი გავუწოდე.

დედამ, „ალიონის“ მხურვალე გულშემატკივარმა, გაზეთი პირდაპირ მეხუთე გვერდზე გადაშალა, განსაკუთრებული ყურადღებით წაიკითხა, გაზეთი დაკეცა, გვერდზე გადალო (როგორც წესი კითხვისას დიენის შუაში ზის), ამომხედა და...

– დიომიდე კილაძის მთორე ამბავმა დამინტერესა და გაზეთში თუ არ ვინდა დაწერო, მე მინც მომიყევი – ცოტა არ იყოს, კატეგორიულად მითხრა. დედას თხოვნის შესრულებაზე უარს, აბა, როგორ ვიტყვოდი?!

ჰოდა, „ავდექი“, უფრო ზუსტად, ხელ-პირი საფუძვლიანად რომ დავიბანე („პანდემის“ შიში ჯერ კიდევ ძვალ-რბილში მაქვს გამჯდარი), გვერდით მიგუჯექი და დიომიდე კილაძის ამბავი, რაც შემძლო დავწვრილებით მოვუყევი.

მოყოლა, რომ დავამთავრე, კკითხე: – შენ რას იზამდი, დე?!

– მე?! რას ვიზამდი და მიგვეგობოდი! ვინაა გიო, მშიშარა... წინა ამბის ჩამდენი კაცი, როგორ იქნებოდა, მშიშარა და კიდევ იცი რა...

– რა, დე?!

– მეორე ვმირიც უნდა გეხსენებინ გაზეთში. რა ვკარია, შემახდენე ერთი...

– რუსიშვილი იყო ერთი თუ არ ცვდები, ვუთხარი – არც მამას ახსოვდა მეორეს არათუ სახელი, არამედ – ვკარიც... არც ილია ჭყონია არ უხსენებია და არც დავით მესხი, რამდენადაც მახსოვს.


– ჰო. იცოდა, მამაშენმა ასეთები... ყველაფერს არც ამბის მოყოლისას გეტყვოდა და არც წიგნის მოყოლისას...

– კი. ასე იყო... „რა ქნას კარგმა მონარდმა, დროზე შაში თუ არ მოვა“ - ლექსებში რომ მაძებნინა, ხო გახსოვს.

– გრიშამ არა, შენ გადაწყვიტე ასე... არ ვინდა ეს ამბავი გაზეთში (ცოტა დაფიქრდა და „ავტორი შენ ხარ და თავად გადაწყვიტე!“) „აკაკის ამბავი კი უნდა მოჰყვე... ხომ ვითხარი, რატომ“.

(გავრძელება შემდეგ ნომერში)

ქართული სოციალ-დემოკრატია რევოლუციის დამარცხების უმეღე (1906-1907 წწ.)



ვახტანგ გურული
საქართველო სრულუფლებოვანი დამოუკიდებელი სახელმწიფო (1918)

ქართველი საზოგადოების 1905 წლის 7-18 დემოკრატიის პრეზიდენტი და "საქართველოს მშენებლის რეორგანიზაციის პრეზიდენტი" უმეღე

XX საუკუნის დამდეგს რუსეთის ეკლესიის უწმინდესი სინოდი და იმპერატორი ნიკოლაი II დარწმუნდნენ იმაში, რომ აუცილებელი იყო რუსეთის ეკლესიის მმართველობის ძირითადი გარდაქმნა. 1905 წლის 18 თებერვალს იმპერატორ ნიკოლაი მეორის მიერ გამოცემული რესკრიპტი, რომლის ძალითაც იმპერიაში გამოცხადდა სიტყვის თავისუფლება, ქართველმა სამღვდლოებმა თავისი მიზნის აღსრულებისათვის გონიერულად გამოიყენა. დეკანოზებმა კალისტრატე ცინცაძემ და ანტონ თოთბაძემ, ისტორიკოსმა სერგი გორგაძემ გადაწყვიტეს აღეძრათ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის საკითხი. სერგი გორგაძეს დაეკავია "ქართული ეკლესიის მართვა-გამგეობის პროექტის", ხოლო კალისტრატე ცინცაძეს კი — რუსეთის იმპერიის მთავრობაში გასაგზავნი პეტტიციის შედგენა. პეტტიციაში ჩამოყალიბებული იყო შემდეგი მოთხოვნები:

1. "ივერიის ეკლესიას დაუბრუნდეს ავტოკეფალური უფლებები და თავისი კათოლიკოსთურთ აღდგეს მცხეთა-ივერიის კათოლიკოსატი აღრინდელ საზღვრებში (გუბერნიები: თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, ნაწილი შავი ზღვის გუბერნიისა — აფხაზეთი, სამურზაყანო და ზაქათალის ოლქი);

2. აღდგეს წესი, როცა დღითიმ-სახურები განთავისუფლებულ ადგილებს არჩევენ შესაფერებ იკავებდნენ;

შენიშვნა — ა) კრებულის წევრთა ადგილების დასაკავებლად მრევლი ირჩევს უფლებაუნარიან კანდიდატებს, ხოლო სამღვდლოება და ხალხის წარმომადგენლები — კათოლიკოსსა და მღვდელმსახურებს. არჩეულ მღვდელმთავარს ამტკიცებს ივერიის ეკლესიის ყველა მღვდელმთავრის კრება კათოლიკოსის მეთაურობით და კათოლიკოსის არსებობის შემთხვევაში სინოდი, ხოლო კათოლიკოსის — უზენაესი საერო ხელისუფლება;

შენიშვნა — ბ) მღვდელმთავართან არსებულ საეპარქიო საბჭოზე ამა თუ იმ ადგილზე, სასულიერო პირთა კანდიდატურების არჩევის საქმის ვეროვანი განხილვის შემდეგ, არჩეულს ამტკიცებს და შესაბამის

წოდებას ანიჭებს ადგილობრივი ეპისკოპოსი, რომელსაც ყოველ შემთხვევაში უფლება აქვს დასაბუთებული ვეტოს დადებისა;

3. კათოლიკოსთან დაფუძნდეს წმიდა სინოდი (თავმჯდომარე — კათოლიკოსი), ხოლო ეპარქიის მღვდელმთავრებთან — საბჭოები, შედგენილი გარკვეული ვადით არჩეული სასულიერო და საერო პირთაგან;

4. კათოლიკოსთან არსებული წმიდა სინოდის ხელში მოექცეს ყველა ეკლესიის, მონასტრის, სამღვდლოების, სასწავლო-სასულიერო დაწესებულებებისა და საქველმოქმედო დაწესებულებების უმაღლესი მართვა-გამგეობა;

5. ივერიის ეკლესიას დაუბრუნდეს სახელმწიფოსათვის გადაცემული ყველა საეკლესიო მამული".

1905 წლის გაზაფხულიდან მოყოლებული გახშირდა ქართველი სამღვდლოების კრებები, რომლებზეც ითხოვდნენ საქართველოს სამოციქულო ეკლესიის თვითმწყობის (ავტოკეფალიის) აღდგენას. რუსეთის ხელისუფლება ქართველი სამღვდლოების მოთხოვნებს უმკაცრესი რეპრესიებით პასუხობდა, განსაკუთრებით კი დევნიდა სამღვდლოების შეკრებებს. 1905 წლის 31 მაისს, როგორც აღვნიშნეთ, თბილისში დაარბიეს ქართველი სამღვდლოების კრება.

რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიაში რეფორმებისათვის მზადების პროცესში, უწმინდესი სინოდის გადაწყვეტილებით, 1905 წელს დაიწყო ეპარქიათა მმართველი მღვდელმთავრების აზრის გამოკითხვა. გამოკითხულ მღვდელმთავრებს შორის იყვნენ: ორიოლის ეპისკოპოსი კირიონი (გიორგი საძაგლიშვილი) და იმერეთის ეპისკოპოსი ლეონიდი (ლონგინოზ ოქროპირიძე). ერთ-ერთი საკითხი, რომლის შესახებაც მღვდელმთავრებს აზრი უნდა გამოეთქვათ, რუსეთის ეკლესიაში სამიტროპოლიტო ოლქების შექმნა იყო. არსებული პროექტის მიხედვით, კავკასია ცალკე სამიტროპოლიტო ოლქი უნდა ყოფილიყო. სამიტროპოლიტო ოლქს, ჩვეულებრივი ეპარქიისაგან განსხვავებით, მეტი უფლებები უნდა მინიჭებოდა. იმერეთის ეპისკოპოსმა ლეონიდმა უწმინდესი სინოდისათვის წარდგინდა საგანგებო მოხსენებაში კავკასიაში სამიტროპოლიტო ოლქის

შექმნა არასაკმარისად მიიჩნია და მოითხოვა საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა. ეპისკოპოს ლეონიდის შეხედულებას ღიად დაუჭირა მხარი გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსმა გიორგიმ (ალადაშვილმა), გავრცელდა ხმები, რომ ეპისკოპოს ლეონიდს ემხრობდნენ ალავერდის ეპისკოპოსი პეტრე (კონჭოშვილი) და გორის ეპისკოპოსი ექვთიმე (ელაშვილი). საქართველოს ეგზარქოს ალექსი ობოცკის აზრი საჯაროდ არ გამოუთქვამს. ასეთ ვითარებაში ქართველმა მღვდელმთავრებმა რუსეთის ეკლესიის უწმინდესი სინოდს მიმართვა გაუგზავნეს: თუ 1906 წლის 14 იანვრამდე საქართველოს ეკლესიას ავტოკეფალური მართვა-გამგეობა არ მიენიჭებოდა, მაშინ ქართველი სამღვდლოება თვითონ აღადგენდა ავტოკეფალურ მართვა-გამგეობას.

ქართველი სამღვდლოება აუცილებლად მიიჩნევდა, რომ ეპარქიებში არჩეული დელეგატები თბილისში შეკრებილიყვნენ და წინასწარ შეემუშავებინათ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის რეორგანიზაციის გეგმა (პროექტი). კრება 1905 წლის 7 დეკემბერს უნდა გახსნილიყო. დათქმულ დღეს სამღვდლოების კრებამ მუშაობა ვერ დაიწყო, რადგან დასავლეთ საქართველოს ეპარქიებში არჩეული დელეგატები თბილისში ვერ ჩამოვიდნენ. 7-8 დეკემბერს მხოლოდ რამდენიმე თათბირი გაიმართა, რომელთაც არანაირი დადგენილება არ გამოუტანიათ. 9 დეკემბრისათვის თბილისში დასავლეთ საქართველოს ეპარქიების დელეგატებიც ჩამოვიდნენ და წმინდა ნიკოლოზის სახელობის სასწავლებლის შენობაში კრება მუშაობას შეუდგა. ქართველი სამღვდლოების კრებას ესწრებოდნენ იმერეთის ეპისკოპოსი ლეონიდი და გორის ეპისკოპოსი ექვთიმე. ეპისკოპოსებისა და მღვდლების გარდა, კრებას დაესწრნენ საერო პირებიც.

ქართველი სამღვდლოების კრებამ მუშაობა თავმჯდომარის არჩევით დაიწყო. სულ დასახლებული იყო 8 კანდიდატი. ყველა დელეგატმა, გარდა სამისა, მხარი დაუჭირა დეკანოზ დავით ლამაშიძის კანდიდატურას, რომელიც არჩეული იქნა კიდევ თავმჯდომარედ. საქმის მწარმოებლად დასახელდა მღვდელი ილარიონ ჯაში, მის თანამშემუგ — სერგი გორგაძე.

არჩევების დასრულების შემდეგ კრების თავმჯდომარე დავით ლამაშიძემ დელეგატებს მადლობა გადაუხადა ნდობისათვის, რის შემდეგაც მან კრებას მიმართა: "ის კითხვა, რის გარდასაწყვეტადაც ჩვენ დღეს ვართ აქ შეკრებილი, მეტისმეტად საეკლესიო და დიდმნიშვნელოვანია. ასე წლის განმავლობაში დარჩენილი და უყურადღებოდ დატოვებული ჩვენი ეკლესიისათვის ასეთი მნიშვნელოვანი კითხვა დღეს გვესურს საბოლოოდ გამოვარკვიოთ და განვასრუციოთ. სრული იმედი მაქვს, როგორც მთელი კრება, ისე დამსწრე პირებიც აღმოვიჩინებ დახმარებას ამ სამძიმო საქმის შესრულებაში. მოგესხენებო, რომ ოთხ მღვდელ-მთავარს აქვს მიცემული სიტყვიერი გაცხადება ექსარქოსისადმი, რომ საქართველოს ეკლესიას 14 იანვრამდე მიეცეს ნება, აღადგინოს ავტოკეფალური მმართველობა. იმედია, მთავრობა შეიწყნარებს სამღვდლოების და საზოგადოების ასეთ თხოვნას და აღადგენს იმ უფლებას, რომელსაც იგი მოკლებულია რუსეთთან შეერთების დღიდან. ამნაირივე თხოვნა იყო წარმოდგე-

ნილი სამღვდლოებისა და საზოგადოებისაგანაც. აღარ შეიძლება დაყენება ამსურვილის აღსრულებისა, ვინაიდან სამღვდლოებისა და საზოგადოების დამოკიდებულება მეტისმეტად გამწვავდა და სარწმუნოებაც დაასუსტა ამ უფლების დაკარგვამ. ჩვენი საზოგადოება დღემდეც უნდა ცდილიყო ამ კანონიერი სურვილის აღსრულებას და ეხლა-კი დრო არის, მოპოვებულ იქნას ეს დაკარგული უფლება, რომლითაც დაუბრუნებლად სარგებლობენ ჩვენში ფრანგები (იგულისხმებიან კათოლიკეები — ვ.გ.) და სომხები".

1905 წლის 18 დეკემბერს ქართველი სამღვდლოების კრებამ დაამტკიცა "საქართველოს ეკლესიის რეორგანიზაციის პროექტი". ქვემოთ მოგვყავს პროექტის სრული ტექსტი:

„საქართველოს მშენებლის რეორგანიზაციის პროექტი | ძირითადი პრინციპები

განმარტება საქართველოს ეკლესიისა. საქართველოს ეკლესია არის მორწმუნე ქართველებისაგან შემდგარი და „ერთის, წმიდის, კათოლიკე და სამოციქულო ეკლესიის“ პრინციპებზე დამყარებული სარწმუნოებრივი საზოგადოება, რომელშიაც და რომლის საშუალებითაც ხორციელდება ამ ქვეყნად „ღვთის სასუფევლის“ დედა-აზრი.

მისი მიზანი. ამ საზოგადოების მიზანს შეადგენს მისი წევრების სარწმუნოებრივ მოთხოვნილებათა დამყოფილება და მათი ზნეობრივი სრულ-ყოფა ქრისტიან მცნების თანახმად: „იყავით სრული, ვითარცა მამა თქვენი ზეციერი სრულ არს“.

სხვა ავტოკეფალურ ეკლესიებთან ურთიერთობა. როგორც ისტორიულად, ისე კანონიერად საქართველოს ეკლესიას აქვს სრული უფლება სხვა ეკლესიათაგან დამოუკიდებლად იარსებოს; ამას მდგრადი მოთხოვნის თანამედროვე ცხოვრებაც. სხვა ეკლესიათაგან დამოუკიდებლობა საქართველოს ეკლესიისა მდგომარეობს: ა) მისი იერარქიის სხვა ეკლესიათა იერარქიისაგან დამოუკიდებლობაში; ბ) ადგილობრივ კანონმდებლობისა და სამართლის უფლებაში და გ) ადგილობრივთა საეკლესიო ჩვეულებათა და სამღვდლო-წესთა სხვაობაში.

ეკლესიის ურთიერთობა სახელმწიფოსთან. როგორც ზნეობრივ-სარწმუნოებრივის მიზნით არსებული საზოგადოება, საქართველოს ეკლესია შეეხება თავის წევრებს მარტო ზნეობრივ პრინციპის მხრივ და მიზნად არა აქვს შეეხოს მათ, როგორც წევრებს სახელმწიფოსას ან რომლისაზე პოლიტიკურ ორგანიზაციისა. მსგავსათვე არც სახელმწიფოს აქვს უფლება ამ საზოგადოების შინაგან წეს-წყობილებასა და ცხოვრებაში ჩაერიოს, რადგან, როგორც ითქვას, ეს საზოგადოება არავითარს პოლიტიკურსა და ეკონომიურს მიზანს არ ესწრაფვის. სახელმწიფო, როგორც ყველგან, ისე ამ შემთხვევაშიაც ვალდებულია მხოლოდ უზრუნველ-ჰყოს ამ საზოგადოების წევრთა ნამდვილი სარწმუნოებრივი თავისუფლება (17 ოქტომბრის მანიფესტით აღსარებული) და მის დაწესებულებათა ხელშეუხებლობა ეკლესიის გარეშე მდგომ პირთა და დაწესებულებათაგან; რომ საქართველოს ეკლესიამ საშუალოდ აიცილოს თავიდან ეჭვი ან ბრალდება ეგერე წოდებულს „კლერიკალიზმში“ და თანაც საკუთარ განახ-

ორციელოს თავის წევრთა სინიდიის თავისუფლება, აუცილებლად საჭიროა, განთავისუფლდეს არა მარტო ეკლესია სახელმწიფოსაგან, არამედ სახელმწიფოც ეკლესიისაგან; არც სახელმწიფო უნდა ერეოდეს ეკლესიის საქმეებში და არც ეკლესია — სახელმწიფოს საქმეებში.

ამ ძირითად პრინციპების თანახმად უნდა მოეწიოს მთელი შინაგანი ცხოვრება და გარეგანი მდგომარეობა საქართველოს ეკლესიისა.

საქართველოს მშენებლის წეს-წყობილება ტერიტორია და მისი დაყოფა

საქართველოს ეკლესიის ტერიტორიას შეადგენს ქართველის ტომით დასახლებული ადგილები ეხლანდელის თვითისისა და ქუთაისის გუბერნიებისა, ზაქათალისა, სოხუმისა, ბათუმისა და ყარსის ოლქთა საზღვრებში.

შენიშვნა: საკუთარს სურვილით შეუძლიათ საქართველოს ეკლესიას ეკუთვნოდნენ ამ ტერიტორიის გარეშე მცხოვრები ქართველები და, აგრეთვე, არა-ქართველებიც, როგორც ამავე ტერიტორიის საზღვრებში, ისე მათ გარეშეც.

მთელი ეს ტერიტორია დანაწილებულია ოთხ ეპარქიად: ა) კახეთ-ზაქათალისა, ბ) ქართლისა (სამცხე-საათაბაგოთურთ), გ) იმერეთ-გურია-სვანეთისა (ამავე ეპარქიაში შედის ბათუმის ოლქიც) და დ) სამეგრელო-სამურზაყანოსა. თვითუფლები ეპარქია განიყოფება სამი ოლქებად, ხოლო ეს უკანასკნელი — სამრევლოებად.

სამღვდლოება და მორწმუნენი

საქართველოს ეკლესიის სამღვდლოებას შეადგენენ: ა) სრულიად საქართველოს კათალიკოს-მამამთავარი, რომელიც იმავე დროს არის მთავარ-ეპისკოპოსი ქართლისა; ბ) სამი ეპისკოპოსი; გ) მღვდლები; დ) დიაკვნები (=მთავრები) და ე) მელავითნეები.

§8. ეკლესიის უდიდეს ნაწილს შეადგენენ მორწმუნენი. მორწმუნედ, ანუ ეკლესიის წევრად ითვლება ყოველი კაცი და ქალი, რომელსაც ნათელ-ულია, აღიარებს მართლ-მადიდებლობის სწავლას და ემორჩილება საეკლესიო წყობილებას. როგორც ეკლესიის წევრად გახდომა, ისე მასში დარჩენა ან გასვლა, დამოკიდებულია თვით მორწმუნის სინიდიისა და სურვილზე; ხოლო მარტომადეც საქმე ბავშვებს შეეხება, იმათი ეკლესიის წევრებად დატოვება თუ ექიდან გაყვანა, მათი მშობლებისა და მზრუნველების სინიდიის საქმეა.

მართვა-გამგეობის ორგანოები

საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობა დამყარებულია კრებით პრინციპზე. მთელს საქართველოს ეკლესიას თავში უდგას: ა) სრულიად საქართველოს საეკლესიო კრება და ბ) საკათალიკოსო საბჭო კათალიკოსის თავმჯდომარეობით. ეპარქიის მთავრობს: ა) საეპარქიო კრება და ბ) საეპარქიო საბჭო ეპისკოპოსის თავმჯდომარეობით. სამი ოლქს განაგებს: ა) საოლქო კრება და ბ) საოლქო საბჭო; ხოლო სამრევლოს მართავს: ა) სამრევლო კრება და ბ) სამრევლო საბჭო ადგილობრივ მღვდლის დახმარებითა და ხელმძღვანელობით.

(ბაზრძმლშპა იქმნება) ვახტანგ გურული

(საქართველოს ახალი ისტორია, . (1801-1918) წიგნი 3; გვ: 484-487

შრომის საჯარო სკოლაში ვებინარი კვლავი საზიაროდ გააძლიერა



ალიონი. შრომის საჯარო სკოლის დირექციისა და მასწავლებელთა პროფკავშირული ორგანიზაციის ინიციატივით მოეწყო პენსიონერ მასწავლებელთა საზიაროდ გაძლიერება. მისასაღებელი სიტყვებით, ლექსებითა და ლიტერატურულ მუსიკალური კომპოზიციებით.

პენსიონერ მასწავლებლებს მიესალმნენ შრომის საჯარო სკოლის მოსწავლეები: მარი ბოლქვაძე, თემური ხომერიკი, ვიორჯი ქარცივაძე, ვაბა ზოიძე, ცოტნე ცირდავა, ანანო ჩხიტუნიძე, ბექა ტაბატაძე, ქეთი აცანელიძე, ლინდა ნადირა-შვილი, საბა დავაძე, თომა მოსახლიშვილი, ნინო მაისურაძე, ბადრი ხომერიკი, გვანცა ხვედელიძე, ქეთი მოსახლიშვილი, ანანო ჯაბუა, თათია გულიაშვილი;

ეკალიდის საბაზო სკოლის მოსწავლეები: ლიზა ფუტკარაძე, ზალიკო ფუტკარაძე, მარიამ დიასამიძე.

კომპოზიცია მუსიკალურად გააღამაზა, სკოლის ფოლკლორული ანსამბლმა „ოცნება“ (ხელმძღვანელი ნინო ჩხაიძე).

შრომის საჯარო სკოლის დირექტორმა **რუსუდან ცეცხლაძემ** მადლობა გადაუხადო პენსიონერ მასწავლებელთა ბოლოვანი და აღნიშნა მათი დამსახურება, მომავალი თაობის აღზრდის საქმეში.

შეხვედრაზე სიტყვით გამოვიდნენ ღვაწლმოსილი პედაგოგები: **ცისმარი დონაძე, მანანა ფლენტი, მერი ზოიძე, მაგული ტაკიძე.**

სკოლის დირექტორმა რუსუდან ცეცხლაძემ განსაკუთრებული თბილი სიტყვებით აღნიშნა მასწავლებლების

მილოცვა

დათა და საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ნათლული ნიკოლოზი ძმები არიან, გვარად შარაშენიძეები. მათ უფროსი და-ძმაც ჰყავთ. დათა და ნიკოლოზი ოქტომბერში იუბილარები იყვნენ. ერთი 17 წლის შესრულდა და სკოლას ამთავრებს, მეორე კი 7 წლის გახდა და ასლა პირველკლასელია.

ჩვენს უმცროსს მეგობრებს ვულოცავთ დაბადების დღეებს და ვუსურვებთ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს, სხეულებიანთ ოჯახში და ჩვენს ქვეყანაში.

დეიდები ლელა და ნონა; ბებიები იამზე და გულსუნდა.

მარიამ ყალიჩავას გამოფენაზე

ალიონი. გასულ პარასკევს, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ვახტანგ მაძიშვილის სახელობის სამხატვრო სკოლაში ამ სკოლის კურსდამთავრებულის მარიამ ყალიჩავას გამოფენა გაიმართა. წარმოდგენილი იყო მისი ათეულობით ნამუშევარი.

გამოფენას დაესწრნენ მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის უფროსი ლალი სიჭინავა, სხვა თანამშრომლები, მხატვრები, სხვა გულშემატკივრები.

როგორც მარიამ ყალიჩავას აღმზრდელმა პედაგოგმა ვახტანგ მაძიშვილმა აღნიშნა, მარიამი ბავშვობიდან შრომისმოყვარე მოსწავლე იყო.



განსაკუთრებულ მიდრეკილებას ამჟღავნებდა ლეკორაციულ-აბსტრაქტული კომპოზიციების მიმართ, რაც აშკარად გამოხატულია ამჟამინდელ ნამუშევრებში.

ვახტანგ მაძიშვილის თქმით, შესაძლებელია მარიამ ყალიჩავას გამოფენა ოზურგეთის სამხატვრო გალერეაში გაიმართოს.

— ოზურგეთის №1 საჯარო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე ვარ. კარგად ვასწავლობ. ძალიან მიყვარს მხატვრობა, მაგრამ არ ვიცი სკოლის დამთავრების შემდეგ რომელ დარგს ავირჩევ. მხატვრობა ძალიან მიყვარს და ვხატავ. ჩემი საყვარელი მხატვრები სალვადორ დალი და რუსუდან ფეტვიანიშვილია — გვითხრა მარიამ ყალიჩავამ.

ტრადიციული ღია პირველობა ბაზიერობაში

ალიონი. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში ტრადიციული ღია პირველობა ჩატარდა ბაზიერობაში.

ღონისძიებას ესწრებოდნენ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები და მოწვეული სტუმრები.

ერთმანეთს შეეჯიბრნენ ბაზიერები საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან და თურქეთის რესპუბლიკიდან.

გუნდურ შეჯიბრებაში I და II ადგილები **ჩოხატაურისა** და **აჭარის** გუნდებმა დაიკავეს. I ადგილზე გასულს გადაეცა თასი.

გამარჯვებულები გამოვლინდნენ ოთხ ნომინაციაში:

მინიმუმი — ვიორჯი ვაჩიშვილი;
ქორი — გიგა ირემაძე;
შეპარაღმნი — ავთანდილ წულუკიძე;
ალალი — დავით წულუკიძე.

I, II და III ადგილზე გასულნი დაჯილდოვდნენ სიგელებითა და ფულადი პრიზებით.



სიგელები და ფულადი ვილდო გადაეცათ ყველაზე უხუცეს ბაზიერს, 97 წლის ანხელ შარაშენსა და ყველაზე ახალგაზრდა 12 წლის ვაჟა შენგელიას.

ოზურგეთის თეატრის უპრეცედენტო გასტაბის გასტროლი დედაქალაქში

მიმდინარე წლის 1 ნოემბრიდან 11 ნოემბრის ჩათვლით, ოზურგეთის ალექსანდრე წულუწას სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მხარდაჭერით უპრეცედენტო გასტაბის გასტროლებს მართავს თბილისში, რუსთავესა და გორში.

1-8 ნოემბრის ჩათვლით, ოზურგეთის სახელმწიფო დრამატული თეატრი, თბილისის შუი თეატრის სცენაზე 7 სპექტაკლს წარმოადგენს. საგასტროლო სპექტაკლებად შეირჩა ოზურგეთის თეატრის ბოლო პერიოდის საუკეთესო დადგმები, რომლებიც ოზურგეთის თეატრში სხვადასხვა თაობის ცნობილმა ქართველმა სათეატრო რეჟისორებმა დადგეს.

1 ნოემბერი — **„რუსული გურა“** — ნიკოლოზ საბაშვილის საავტორო სპექტაკლი — **შოთა რუსთაველის სახელობის ეროვნული თეატრი;** 19:00 საათი

2 ნოემბერი — **„ცის კარი“ (ნოდარ დუმბაძე)** ელენე მაცხონაშვილის საავტორო სპექტაკლი — **ნოდარ დუმბაძის მოზარდ მსახიობთა სახელმწიფო პროფესიული თეატრი;** 19:00 საათი

3 ნოემბერი — **„3+3“** — მ. დოიშვილი, რეჟ. ითანე (ვანო) ხუციშვილი, — **მიხეილ თუმანიშვილის კინო-მსახიობთა თეატრი;** 20:00 საათი

4 ნოემბერი — **„ღონ კიხოტი“** — მიხეილ დე სერვანტესის მიხედვით, ელენე მაცხონაშვილის



საავტორო სპექტაკლი — **თაფის-უფალი თეატრი;** 19:00 საათი

5 ნოემბერი — **„იმერული რეკვიემი“**, რ. კლდიაშვილი, რეჟ. ვასო ჩიგოგიძე, ოთარ კუტლაძე — **ალექსანდრე გრიბოედოვის სახელობის რუსული დრამატული თეატრი;** 19:00 საათი

6 ნოემბერი — **„დედაიმი“** დ. თავაძე, რეჟ. საბა ასლამაზიშვილი, — **მიხეილ თუმანიშვილის კინო-მსახიობთა თეატრი;** 18:00 საათი

7 ნოემბერი — **„ცის კარი“**, ელენე მაცხონაშვილის საავტორო სპექტაკლი, — **ნოდარ დუმბაძის მოზარდ მსახიობთა სახელმწიფო პროფესიული თეატრი;** 12:00 საათი

8 ნოემბერი — **„გურიის დელოფალი“**, თ. პაპავას ნაწარმოებების მიხედვით, რეჟ. გიგა კაპანაძე — **ალექსანდრე გრიბოედოვის სახელობის რუსული დრამატული თეატრი;** 19:00 საათი

თბილისური ტურნეს ფარგლებში, ოზურგეთის თეატრი მონაწილეობს კომედიის საერთაშორისო ფესტივალში **რუსთაველი** სტუმრის სტატუსით, შესაბამისად **9 ნოემბერს — გიგა ლორთქიფანიძის სახელობის დრამატული თეატრში** ფესტივალის ფარგლებში, ოზურგეთის თეატრი გიგა კაპანაძის სპექტაკლს **„გურიის დელოფალი“** წარმოადგენს, ხოლო **11 ნოემბერს** ოზურგეთის თეატრს **გორის ვიორჯი ერისთავის სახელობის თეატრი** უმასპინძლებს. გორელ მსახიობებს საშუალება ექნება ოზურგეთის თეატრის ორი სპექტაკლი იხილოს: — 14:00 საათზე წარმოდგენილი იქნება ელენე მაცხონაშვილის საავტორო სპექტაკლი **„ცის კარი“**, რომელიც ნოდარ დუმბაძეს ეძღვნება, ხოლო 19:00 საათზე, გორის თეატრის დიდი სცენა გიგა კაპანაძის სპექტაკლს **„გურიის დელოფალი“** დაეთმობა.

7 დღის ამინდის პროგნოზი

მზა, ღრუბელი +9+15 31 ოქტომბერი ორშაბათი	წვიმა +5+11 1 ნოემბერი სამშაბათი	მზა, ღრუბელი +4+11 2 ნოემბერი ოთხშაბათი	წვიმა +5+10 3 ნოემბერი ხუთშაბათი	ღრუბელი +5+14 4 ნოემბერი პარასკევი	მზა, ღრუბელი +7+18 5 ნოემბერი შაბათი	წვიმა +9+22 6 ნოემბერი კვირა
-------------------------------------------------------	-----------------------------------------------	------------------------------------------------------	-----------------------------------------------	-------------------------------------------------	---------------------------------------------------	-------------------------------------------